



გალტ & თამარიდი

მედიის მენეჯერების კომპანია



ელექტროენერგიის ბაზარი საქართველოში

2025 წლის პირველი კვარტლის მიმოხილვა

13 მაისი 2025



ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochoreshvili@gt.ge

მარიამ ჩახვაშვილი

სექტორის უფროსი | mchakhvashvili@gt.ge

დაჩი მუჯირიშვილი

ანალიტიკოსი | dmujirishvili@gt.ge





ძირითადი ტენდენციები

ელექტროენერგიის მიწოდება: 2025 წლის პირველ კვარტალში მიწოდებამ 3.8 ტვტ.სთ შეადგინა. აქედან ადგილობრივმა გენერაციამ 2.8 ტვტ.სთ შეადგინა (-15.6% წ/წ), ხოლო იპორტი 1.0 ტვტ.სთ იყო (+122% წ/წ). ადგილობრივი წყაროებიდან დაიკლო, როგორც ჰესების, ისე თბოსადგურების გამომუშავებამ. ამასთან, თბოსადგურსა და იმპორტს შორის არჩევანი ფასის მიხედვით გაკეთდა.

2025 წლის პირველ კვარტალში **სატესტო რეჟიმით ამოქმედდა** 54.1 მგვტ-იანი მტკვარი ჰესი და 14.2 მგვტ - იანი ქიორაჰესი.

ადგილობრივი მოხმარება: 2025 წლის პირველ კვარტალში ელექტროენერგიის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 1.3%-ით გაიზარდა და 3.7 ტვტ.სთ შეადგინა. ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი ადგილობრივი მოსახლობის მოხმარებაში დაფიქსირდა (+8.5% წ/წ).

ელექტროენერგიის ფასი საქართველოში: პირველ კვარტალში საბითუმო ბაზარზე ელექტროენერგიის ფასი წლიურად 1.5%-ით გაიზარდა და 5.9 აშშ ცენტი შეადგინა.

CFD-ს მიღების მსურველების აქტიურობა მაღალია. პირდაპირი მოლაპარაკების გზით CFD კონტრაქტის მიღების მსურველებისგან ეკონომიკის სამინისტროში 435 განაცხადი შევიდა, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 11.2 გვტ-ია, აქედან 0.75 მგვტ ჰიდრო, 4.2 გვტ ქარის და 6.2 გვტ მზის სადგურებია. განაცხადების განხილვის შედეგები რამდენიმე თვეში გამოვლინდება.

ენერგო-პრო ჯორჯიას ქსელში ნეტო აღრიცხვისთვის განსაზღვრული ლიმიტი შეივსო და ახალი განაცხადის მიღება შეჩერებულია, ხოლო თელასის ქსელში განაცხადების მიღება გრძელდება და დარჩენილია 50-60 მგვტ.

რეგულირებული ტარიფები გაიზარდა ენგურის, ვარდნილის და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის 2025 წლის იანვრიდან და კვტ.სთ-ზე შესაბამისად 4.021 (+66.7% წ/წ), 5.111 (+66.7% წ/წ) და 3.298 (+17.2% წ/წ) თეთრი შეადგინა. აღნიშნული საცალო ტარიფებზე გავლენას არ მოახდენს 2025 წელს.



ელექტროენერგიის გენერაცია


2025 წლის პირველ კვარტალში ელექტროენერგიის ადგილობრივი გენერაცია 15.6%-ით შემცირდა და 2.8 ტვტ.სთ შეადგინა.

ჰიდრო გენერაცია წლიურად 14.8%-ით შემცირდა 1.8 ტვტ.სთ-მდე და ჯამური გენერაციის 65.0% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ჰიდროგენერაციის კლება დაკავშირებულია წინა წლის მაღალ ბაზასთან, რომელიც თავის მხრივ ჰიდროლოგიურ პირობებთან იყო დაკავშირებული.

ჰიდროგენერაციის ჯამური კლების მიუხედავად, **დერეგულირებული** ჰესების კატეგორიის გენერაცია წლიურად 4.5%-ით გაიზარდა, რაც ახალი სადგურების დამსახურებაა.

თბოსადგურების გენერაცია წლიურად 17.1%-ით შემცირდა, ხოლო სანაცვლოდ გაორმაგდა (+122.2% წ/წ) ელექტროენერგიის იმპორტი. თბოსადგურსა და იმპორტს შორის არჩევანი ფასით გაკეთდა. 2025 წლის პირველ კვარტალში თბილისრესის და მტკვარი ენერჯის თბოსადგურების გენერაციის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 6.3-6.7 აშშ ცენტს შორის მერყეობდა, ხოლო აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან იმპორტის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე შესაბამისად 5.9 და 6.6 ცენტს შეადგენდა. თბოსადგურების ფასები 2024 წლის იანვრიდან გაიზარდა გაზის შესასყიდი ფასის ზრდის გამო (მ³-ის ფასი 143-დან 210 დოლარამდე ავიდა).

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის გენერაცია, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, გაზთა და ელექტროენერგიის მინისტრის სამსახურებრივი საბჭო

ცხრილი 1: ელექტროენერგიის გენერაციის დინამიკა, 3თ25

ობიექტები	წლიური ზრდა
გენერაცია, სულ	-15.6%
თბოსადგურები	-17.1%
ქარის სადგურები	-4.4%
ჰესები	-14.8%
აქედან:	
ენგური-ვარდნილი	-47.2%
სხვა რეგ. ჰესები	-17.1%
დერეგულირებული ჰესები	+4.5%



ელექტროენერგიის მოხმარება

ელექტროენერგიის ადგილობრივი მოხმარება 2025 წლის პირველ კვარტალში წლიურად 1.3%-ით გაიზარდა 3.7 ტვტ.სთ -მდე.

2025 წლის პირველი კვარტალის მოხმარების მატება ძირითადად **საცალო** (+5.4% წ/წ) და **პირდაპირი მომხმარებლების** (+1.3% წ/წ) გაზრდილი მოთხოვნის შედეგი იყო. მოხმარებაზე უარყოფითად იმოქმედა **აფხაზეთის რეგიონის** მოხმარების წლიურმა შემცირებამ (-8.7% წ/წ).

პირდაპირი მომხმარებლების კატეგორიაში აღსანიშნავია კრიპტო-მაინინგ კომპანიების მოხმარების გახუთმაგება, რაც საერთაშორისო ბაზრებზე კრიპტო აქტივების ფასების ზრდამ გამოიწვია და ახალი საწარმოების დამატება (ძირითადად თავისუფალი ინდუსტრიული ზონები). აღსანიშნავია, რომ ფერაშენადნობების ქარხნები 2024 წლის ოქტომბრიდან გაჩერებული იყვნენ, ხოლო მარტის თვეში შეინიშნება აქტივობის ზრდა, რაც საერთაშორისო ბაზრებზე ფეროშენადნობების ფასის ზრდის მოლოდინს უკავშირდება. ეს ტენდენცია სავარაუდოდ გაგრძელდება და მეორე კვარტალში ველოდებით ფეროშენადნობების მოხმარების ზრდას.

2025 წლის პირველ კვარტალში საცალო მოხმარება გაიზარდა როგორც თელმიკოს (+5.4% წ/წ), ასევე ეპ ჯორჯიას (+6.7% წ/წ) მომხმარებლებისთვის, კერძოდ:

- **მოსახლეობის** ელექტროენერგიის მოხმარება წლიურად 8.5%-ით გაიზარდა და 0.8 ტვტ.სთ შეადგინა, აქედან თბილისის მაცხოვრებლების (თელმიკოს აბონენტები) მოხმარება გაიზარდა წლიური 6.0%-ით, ხოლო რეგიონების (ეპ ჯორჯია მიწოდების აბონენტები) 10.4%-ით.
- **კომერციული სექტორის** მოხმარებაც წლიურად 4.4%-ით გაიზარდა, აქედან თელმიკოს აბონენტების წლიურად 5.0%-ით, ხოლო ეპ ჯორჯია მიწოდების 3.9%-ით.


ცხრილი 2: ელექტროენერგიის მოხმარების დინამიკა, 3თ25

მომხმარებელი	წლიური ზრდა
მოხმარება, სულ	+1.3%
აფხაზეთის რეგიონი	-8.7%
პირდაპირი მომხმარებლები	+1.3%
საცალო მომხმარებელი	+5.4%
აქედან:	
ეპ ჯორჯია მიწოდება	+5.6%
თელმიკო	+5.1%


წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი



გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარება საბითუმო მომხმარებლების მიხედვით, ტვტ.სთ



გრაფიკი 3: ელექტროენერგიის საცალო მოხმარება, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა 1: საცალო მოხმარებაში შედის თელასის, ენერგო-პრო ჯორჯიას, თელმიკოს და ეპ ჯორჯია მიწოდების ელექტროენერგიის ჯამური მოხმარება. ეპ ჯორჯია და თელმიკო დაფუძნდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. სახელის ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით.

შენიშვნა 2: ბიზნესს შეუძლია პირდაპირ მომხმარებლად დარეგისტრირდეს, აღარ იყოს თელმიკოს ან ეპ-ს აბონენტი და პირდაპირ ივაჭროს საბითუმო ბაზარზე. პირდაპირ მომხმარებლად სავალდებულოდ რეგისტრაციის კრიტერიუმი ბოლოს 2021 წელს შეიცვალა და მომავალში იცვლება 2025 წლის ივნისში.




ელექტროენერგიით საგარეო ვაჭრობა

იმპორტი

2025 წლის პირველ კვარტალში ელექტროენერგიის იმპორტი წლიურად 122.2%-ით გაიზარდა 1.0 ტვტ.სთ-მდე. იმპორტირებულ ელექტროენერგიის 59.5% რუსეთიდან განხორციელდა, რომელიც სრულად აფხაზეთის რეგიონის მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი. იმპორტის დანარჩენი ნაწილი შემოვიდა აზერბაიჯანიდან (ჯამური იმპორტის 33.8%) და სომხეთიდან (ჯამური იმპორტის 6.7%).


ჯამურად, იმპორტულ ელექტროენერგიაში გადახდილმა თანხამ 23.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საშუალოდ კვტ.სთ-ზე 1.9 აშშ ცენტია. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის რეგიონისთვის იმპორტი სპეციალურ ფასად, კვტ.სთ-ზე 0.1 აშშ ცენტად ხორციელდება, რაც იმპორტის საშუალო ფასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. აზერბაიჯანიდან იმპორტის საშუალო ფასმა შეადგინა კვტ.სთ-ზე 5.9 აშშ ცენტი, ხოლო სომხეთიდან იმპორტმა 6.6 აშშ ცენტი.

გრაფიკი 4: ელექტროენერგიის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, ტვტ.სთ



წყარო: სემევი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 5: ელექტროენერგიით ვაჭრობა, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი




ელექტროენერგიის ფასი საქართველოში


საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო გასაყიდი ფასი წლიურად 1.5%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 5.9 აშშ ცენტი შეადგინა. თვიურ წრეში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი მერყეობდა კვტ.სთ-ზე 5.8-6.0 აშშ ცენტის ფარგლებში.

საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობა წლიურად 23.8%-ით გაიზარდა 1.4 ტვტ.სთ-მდე და ჯამური მიწოდების 37.1% შეადგინა. მოცულობის ზრდა გამოიწვია იმპორტის და PPA-იანი ჰიდროსადგურების გენერაციის გაზრდამ.

გრაფიკი 6: საბალანსო ელექტროენერგიის მოცულობა (ტვტ.სთ) და გასაყიდი ფასი (აშშ ცენტი/კვტ.სთ)



გრაფიკი 7: საბალანსო ელექტროენერგიის მდგენელები, ტვტ.სთ



წყარო: ესკო, გალტ & თაგარტი

წყარო: სემევი, ესკო, ეროვნული ბანკი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: საბალანსო ენერგია 2024-25 წლებში ძირითადად თბოსადგურების გენერაციისგან შედგება. 2024 წლის ზრდა უკავშირდება თბოსადგურების გასაყიდი ფასის ზრდას, რაც თავის მხრივ გაზის ფასის ზრდამ გამოიწვია.



ბაზრის სიახლეები

გენერაციის ობიექტები

ახალი გენერაციის ობიექტები: 2025 წლის პირველ კვარტალში სატესტო რეჟიმით ამოქმედდა 54.1 მგვტ-იანი მტკვარი ჰესი და 14.2 მგვტ-იანი ჭიორაჰესი.

CFD-ს მიღების მსურველების აქტიურობა მაღალია. ენერგეტიკის სექტორში პირდაპირი მოლაპარაკების გზით (რასაც წინ უსწრებდა ორი სიმძლავრის აუქციონი) კონტრაქტების მსურველებისგან ეკონომიკის სამინისტროში 435 განაცხადი შევიდა, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 11.2 გვტ-ია. დაკმაყოფილებული განაცხადების რაოდენობა რამდენიმე თვეში იქნება ცნობილი.

ცხრილი 3: დასამტკიცებლად შეტანილი პროექტები

სადგურის ტიპი	განაცხადების რაოდენობა	ჯამური სიმძლავრე, გვტ
ჰიდრო	133	0.75
ქარი	61	4.2
მზე	241	6.2
ჯამი	435	11.2

გამარჯვებულები კომპანიები მიიღებენ ფასთაშორის (CFD) კონტრაქტს ოპერირების 15 წლის განმავლობაში. ჰიდროსადგურებისთვის CDF ტარიფი იქნება კვტ.სთ-ზე 6.5 ცენტი წლიურად 8 თვის განმავლობაში, ქარის სადგურებისთვის 6.0 ცენტი წელიწადში 9 თვე და მზის სადგურებისთვის 5.6 ცენტი სრული წლის განმავლობაში. CFD-ის მუშაობის პრინციპების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ჩვენი მიმოხილვა აქ და აქ.




ნეთო აღრიცხვის რეგულაციები

ნეთო აღრიცხვის რეგულაციით მოსარგებლე მიკრო სიმძლავრის (0.5 მგვტ-ზე ნაკლები) ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე მკვეთრად 45.8 მგვტ-ით გიზარდა წლიურად 2025 წლის პირველ კვარტალში. 2025 წლის მარტის ბოლოსთვის ნეთო აღრიცხვის რეგულაციით სარგებლობდა 1,961 მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგური, 189.6 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრით. აქედან 137.4 მგვტ დაერთებული იყო ენერგო-პრო ჯორჯიას ქსელზე, ხოლო 52.3 მგვტ თელასის ქსელზე. აღსანიშნავია, რომ ამ სადგურების გენერაცია აკლდება მოხმარებას და არ შედის ჯამურ გენერაციაში.


ენერგო-პრო ჯორჯიას ქსელში ნეთო აღრიცხვისთვის განსაზღვრული ლიმიტი შეივსო და ახალი განაცხადის მიღება შეჩერებულია. ხოლო თელასის ქსელში განაცხადების მიღება გრძელდება და დარჩენილი ლიმიტი დაახლოებით 50-60 მგვტ-ია.

ქსელის წესების მიხედვით, ნეთო აღრიცხვით მოსარგებლე სადგურების ჯამურმა სიმძლავრემ არ უნდა გადააჭარბოს კონკრეტული განაწილების სისტემის ოპერატორის წინა წლის პიკური დატვირთვის 20.0%-ს. ეს ლიმიტი თავდაპირველად 2.0%-ის შეადგენდა და ეტაპობრივად იზრდებოდა მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე. ამჟამად, სემეკი აღარ გეგმავს ლიმიტის გაზრდას და სანაცვლოდ აპირებს ნეთო დარიცხვის (ნეტ ბილინგის) რეგულაციაზე გადასვლას 2027 წლიდან. კონკრეტულად რას გულისხმობს ეს ცვლილება, ცნობილი გახდება 2025 წლის ზაფხულში, როდესაც სემეკი წარადგენს რეგულაციის პირველად ვერსიას საჯარო განხილვისთვის. ნეტ ბილინგთან დაკავშირებული ენერგო გაერთიანების რეკომენდაციები შეგიძლიათ იხილოთ [აქ](#).

გრაფიკი 8: მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურების ჯამური სიმძლავრე (მგვტ) და რაოდენობა



გრაფიკი 9: მიკრო სიმძლავრის ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრის ყოველწლიური ზრდა (მგვტ)



წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი




ენერგეტიკული ბირჟა

დღით ადრე ბაზარზე უმნიშვნელო მოცულობის ელექტროენერგია ივაჭრება. ენერგეტიკული ბირჟა გაიხსნა 2024 წლის 1 ივლისს და მასზე 21 რეგისტრირებული მომხმარებელია. ბირჟის გახსნის შემდეგ მხოლოდ 36.3 გვტ.სთ, ანუ ამ პერიოდში მთლიანი მიწოდების მხოლოდ 0.1% გაიყიდა ენერგეტიკული ბირჟის პლატფორმით. ეს მოცულობა არაა საკმარისი ფასზე და მიწოდების ტენდენციებზე კვალიფიციური დასკვნების გასაკეთებლად.

ჩვენი აზრით, დღით ადრე ბაზარზე ვაჭრობა მხოლოდ მას შემდეგ გააქტიურდება, რაც ქვეყანა გადავა საათობრივ ანგარიშსწორებაზე ან გაჩნდება უბალანსობაზე პასუხისმგებლობის ვალდებულება. ეს ცვლილებები დაგეგმილია 2025 წლის ივლისისთვის, თუმცა ამის განხორციელების ალბათობა დაბალია.

გრაფიკი 10: დღით ადრე ბაზარზე განხორციელებული ტრანზაქციების შეჯამება



წყარო: GENEX, გალატ & თაგარტი



რეგულირებული ტარიფის ცვლილება

სემეკმა ტარიფი შეუცვალა **ენგურს, ვარდნილს** და **საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას (სსე)** 2025 წლის პირველი იანვრიდან.

სსე-ს ტარიფი გახდა კვტ.სთ-ზე 3.298 თეთრი, რაც წინა წლის 2.813 თეთრიდან 17.2%-იანი ზრდაა. ახალი ტარიფი ძალაში იქნება 2025 წლის 1 იანვრიდან, წლის ბოლომდე.

ენგურის და ვარდნილის ტარიფი სემეკმა 2 ნაწილად დაადგინა:

1) 2025 წლის 1 იანვრიდან ბაზრის სამიზნე მოდელის ამოქმედებამდე, რომელიც ამ ეტაპზე 1 ივლისისთვისაა დაგეგმილი ტარიფი იქნება ენგურისთვის კვტ.სთ-ზე 4.021 თეთრი და ვარდნილისთვის 5.111 თეთრი.

2) ბაზრის სამიზნე მოდელის ამოქმედებიდან 2026 წლის ბოლომდე კვტ.სთ-ის ტარიფი დაუბრუნდება წინა წლის დადგენილ ტარიფს - ენგურისთვის 2.412 თეთრს და ვარდნილისთვის 3.067 თეთრს.

ენგურისა და ვარდნილის ტარიფის ცვლილების მიზეზი იყო კანონში შესული ცვლილება, რის მიხედვითაც აფხაზეთისთვის მიწოდებული ელექტროენერგია აღარ შევიდა ტარიფის გაანგარიშებაში.

ზემოაღნიშნული ცვლილებები მიმდინარე წელს საცალო (მოსახლეობა/ბიზნესი) ტარიფებზე გავლენას არ მოახდენს.



ელექტროენერგიის ბალანსი, გვტ.სთ

	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025F
შიდა მოხმარება, სულ	12,759	12,136	13,730	14,165	13,053	13,834	14,721
წლიური %-ლი ცვლილება	1.4%	-4.9%	13.1%	3.2%	-7.9%	6.0%	6.4%
მათ შორის:							
აფხაზეთის რეგიონი	2,060	2,552	2,956	3,029	2,703	2,553	2,610
წლიური %-ლი ცვლილება	7.2%	23.9%	15.8%	2.5%	-10.8%	-5.6%	2.3%
პირდაპირი მომხმარებლები	2,864	2,438	3,554	3,726	2,779	3,142	3,832
წლიური %-ლი ცვლილება	59.6%	-14.9%	45.8%	4.8%	-25.4%	13.1%	21.9%
საჯალო მოხმარება	7,835	7,146	7,219	7,411	7,572	8,139	8,279
წლიური %-ლი ცვლილება	-11.6%	-8.8%	1.0%	2.7%	2.2%	7.5%	1.7%
გენერაცია, სულ	11,865	11,160	12,645	14,247	14,396	14,234	15,341
წლიური %-ლი ცვლილება	-2.3%	-5.9%	13.3%	12.7%	1.0%	-1.1%	7.8%
მათ შორის:							
თბოსადგურები	2,840	2,821	2,380	3,388	3,446	2,812	3,705
წლიური %-ლი ცვლილება	34.3%	-0.7%	-15.6%	42.4%	1.7%	-18.4%	31.8%
ქარის სადგურები	85	91	83	87	86	78	85
წლიური %-ლი ცვლილება	0.5%	7.3%	-8.2%	5.0%	-1.6%	-9.9%	9.0%
ჰიდროსადგურები	8,940	8,248	10,182	10,771	10,863	11,344	11,551
წლიური %-ლი ცვლილება	-10.1%	-7.7%	23.4%	5.8%	0.9%	4.4%	1.8%
საგარეო ვაჭრობა							
იმპორტი	1,627	1,610	2,006	1,533	790	1,228	748
წლიური %-ლი ცვლილება	7.8%	-1.0%	24.6%	-23.6%	-48.5%	55.4%	-39.1%
ექსპორტი	243	154	391	971	1,468	1,047	674
წლიური %-ლი ცვლილება	-58.6%	-36.8%	154.2%	148.4%	51.2%	-28.7%	-35.6%
სავაჭრო ბალანსი	-1,383	-1,456	-1,615	-562	679	-180	-74
წლიური %-ლი ცვლილება	50.3%	5.3%	10.9%	-65.2%	-220.7%	-126.5%	-59.1%
ტრანზიტი	272	204	1,135	2,933	3,444	1,074	
წლიური %-ლი ცვლილება	913.6%	-25.2%	457.8%	158.3%	17.4%	-68.8%	

წყარო: სემეკი, საკონფიდენციალო მაცნე, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: 2025 წლის მონაცემები აღებულია ეკონომიკის სამინისტროს დამტკიცებული საპროგნოზო ბალანსიდან

ელექტროენერგიის ფასი, აშშ ცენტი

	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025F
საბალანსო ელექტროენერგიის ფასი	4.8	5.0	4.9	5.5	5.3	5.6	5.7
წლიური %-ლი ცვლილება	-5.4%	8.1%	-5.9%	17.0%	-6.2%	5.9%	1.8%
იმპორტის საშუალო ფასი	4.8	4.0	2.4	2.7	0.1	1.9	
წლიური %-ლი ცვლილება	-5.4%	8.1%	-5.9%	17.0%	-6.2%	1328.9%	
ექსპორტის საშუალო ფასი	3.2	3.8	4.0	8.7	6.5	4.7	5.0
წლიური %-ლი ცვლილება	-5.4%	8.1%	-5.9%	17.0%	-6.2%	-27.9%	6.4%

წყარო: სემეკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვრებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერ მიიღიან სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ან ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმეულს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევიტ. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდლით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge